გრასის დეზინფორმაციის ბრიფი: 10 სექტემბერი - 16 სექტემბერი

- **სამთავრობო პროპაგანდა ცდილობს დაიცვას ივანიშვილის განცხადება ოსი ხალხისთვის ბოდიშის მოხდის შესახებ;**
- **„ქართული ოცნების“ გამოხმაურება აშშ-ის სენატში გამართულ მოსმენასთან დაკავშირებით ანტიდასავლურ, ანტიამერიკულ პროპაგანდას აძლიერებს;**
- **„ქართული ოცნება“ და რუსეთის საგარეო დაზვერვა არჩევნებში ჩარევის მცდელობებზე საუბრობენ;**
- **მმართველი პარტია მიხაელ როთს ესხმის თავს და ჰომოფობიურ განწყობებს აღვივებს;**
- **პროკრემლისტური ჯგუფების მტკიცებით, ევროკავშირის მიზანი საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნა და „ლგბტ პროპაგანდის“ გავრცელებაა;**
- **აშშ-ის სენატის სხდომასა და რუსეთის დაზვერვის განცხადებას პროკრემლისტური ჯგუფები აშშ-ის დასაკნინებლად იყენებენ.**

სამთავრობო პროპაგანდა ცდილობს დაიცვას ივანიშვილის განცხადება ოსი ხალხისთვის ბოდიშის მოხდის შესახებ

გორში, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებაზე, პარტიის საპატიო თავმჯდომარემ და დამფუძნებელმა ტრადიციულად გაიმეორა ნარატივები ოპოზიციური პარტიების არაღიარების, „უცხოეთის აგენტებისგან“ საქართველოს დაცვისა და მშვიდობის შენარჩუნების შესახებ. ქალაქში, რომელიც 2008 წლის აგვისტოში რუსეთის საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრის დროს ყველაზე მძიმედ დაზარალდა, ივანიშვილმა განაცხადა, რომ არჩევნების შემდეგ „ნიუნბერგის პროცესს“ ჩაატარებს, რათა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაასამართლოს და უმკაცრესად დასაჯოს ყველა დამნაშავე, ვინც ქართულ-ოსური თანაცხოვრება დაანგრია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მმართველი პარტიის დამფუძნებლის განცხადების შემდეგი ნაწილი: **„ჩვენ აუცილებლად გამოვძებნით საკუთარ თავში ძალას, რათა ბოდიში მოვიხადოთ იმის გამო, რომ, დავალების შესაბამისად, მოღალატე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2008 წელს ცეცხლის ალში გახვია ჩვენი ოსი დები და ძმები.“**

ზემოაღნიშნულ სიტყვით გამოსვლას საზოგადოებისგან მწვავე გამოხმაურება და კრიტიკული შეფასებები მოჰყვა - მათ შორის, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისგან, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ გმირულად იბრძოდნენ საქართველოს დასაცავად.

ამავდროულად, ივანიშვილის განცხადება პოზიტიურად შეაფასეს კრემლის პროპაგანდისტებმა. პროპაგანდისტული არხის „Russia Today-ის“ მთავარმა რედაქტორმა მარგარიტა სიმონიანმა „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის სიტყვა თავის ტელეგრამ არხზე გააზიარა და მიაწერა: „საქართველო წარმოუდგენლად ადეკვატურად იქცევა. თითქოს, გამოვიდა მრავალწლიანი ალკოჰოლიზმიდან ან ფსიქოზიდან. მოკლედ, თბილად მივესალმებით!“

- პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის განცხადებით, ოპოზიციის მიერ ივანიშვილის განცხადების გაკრიტიკების მიზეზი ის წინააღმდეგობაა, რომელსაც ურთიერთპატიება და შერიგება უწევს **„ენმ-ის“ რეჟიმის მიერ 2008 წელს გარედან მიღებული დავალების შესრულებასა და ომის დაწყებას.**

- ივანიშვილის სიტყვით გამოსვლაზე საუბრისას, პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა განაცხადა: „ისევე როგორც ის ომის დამნაშავეები, რომლებიც ქართველ ჯარისკაცებს აწამებდნენ და ომის დანაშაული ჩაიდინეს, არ წარმოადგენდა ოს ხალხს, ისევე არ წარმოადგენდა მიხეილ სააკაშვილი ქართველ ხალხს."
- მმართველი პარტიის გენერალურმა მდივანმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა, რომ **არცერთი ადამიანი არ დაიღუპებოდა, რომ არა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მოღალატეობრივი, გარედან მიღებული დავალებით განხორციელებული ქმედებები.** მან კიდევ ერთხელ დაადანაშაულა ქართული მხარე 2008 წელს რუსეთის შემოჭრაში. თბილისის მერის მტკიცებით, რადიკალურ ჯგუფებს **ერთი უცხოელი პატრონი** ჰყავთ და შესაძლებლობა რომ მიეცეთ, კვლავ ეცდებიან ხელი შეუშალონ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესს.
- „ქართული ოცნების" დეპუტატი ირაკლი ზარქუა ირწმუნებოდა, რომ **ქართველები, ოსები და აფხაზები საუკუნეების განმავლობაში ერთად მშვიდად ცხოვრობდნენ, თუმცა „გარკვეულმა ძალებმა" [არ დაუკონკრეტებია, ვინ იგულისხმა] ერთმანეთს ჩამოგვაშორა.** „დიახ, ჩვენ ერთმანეთისთვის ბოდიში გვაქვს მოსახდელი შეცდომებისა და გაუაზრებელი პოლიტიკისთვის, თუნდაც იმისთვის, რომ მესამე ძალამ შეძლო და ერთმანეთს გადაგვკიდა," - განაცხადა ირაკლი ზარქუამ.
- გასულ დღეებში, სამთავრობო ტელეკომპანია „იმედის" ეთერში ბიძინა ივანიშვილის განცხადების შესახებ გავიდა რეპორტაჟი სათაურით „რადიკალებისთვის მიუღებელი მშვიდობა." წამყვანმა „უსამშობლო რადიკალებზე" ისაუბრა, რომლებმაც, თითქოს, ივანიშვილის მოწოდება ბოდიშის მოხდის შესახებ, რუსი ოკუპანტებისთვის მობოდიშების მცდელობად აღიქვეს. მასალის თანახმად, ივანიშვილი მხოლოდ ოს ხალხთან შერიგებაზე, თანაცხოვრებასა და შეცდომების აღიარებაზე საუბრობდა. **რეპორტაჟში საუბარი არაა ივანიშვილის განცხადების იმ ნაწილზე, როდესაც ომი „გარე ძალებს" დააბრალა და აღნიშნა, რომ ქართველებმა ოსები „ცეცხლში" გახვიეს.** წამყვანმა, აგრეთვე, განაცხადა, რომ ივანიშვილის განცხადებები თანხვედრაშია მსოფლიო ლიდერების, მათ შორის საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზისა და კონდოლიზა რაისის, განწყობებთან, რომელთა შეფასებითაც, სააკაშვილმა, პუტინის პროვოკაციებზე პასუხის გაცემით, ვითარების ესკალაციას შეუწყო ხელი.
- ვატო შაქარიშვილი, „ქართული ოცნების" ყოფილი წევრი და ანტიდასავლური მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს" ერთ-ერთი დამფუძნებელი, ირწმუნებოდა, რომ ივანიშვილმა სწორად დასახა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გეგმა. შაქარიშვილის შეფასებით, ეროვნული მთლიანობის აღსადგენად ომის გამოძიება, მოღალატეების პასუხისგებაში მიცემა, გულწრფელი ბოდიში და ურთიერთმიტევება აუცილებელი პირობებია. ამასთანავე, **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენას ეწინააღმდეგებიან როგორც შიდა, ისე - გარე მტრები, რადგან ეს საბოლოოდ გაანადგურებს „აშშ-ის მმართველი ძალების ინტერესს," რუსეთის წინააღმდეგ მორიგი პროქსი ომი სწორედ საქართველოში დაიწყოს.**
- მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს" თანადამფუძნებელმა ლევან ნიკოლეიშვილმა ივანიშვილის განცხადება შეაფასა, როგორც სწორი გზა შერიგებისა და ერთიანობისკენ, რაც მოიაზრებს შეცდომების აღიარებასა და ერთმანეთისთვის შენდობის თხოვნასაც. ივანიშვილისგან განსხვავებით, **„ენმ", მასთან აფილირებული პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები, გარედან მიღებული დავალების შესაბამისად,**

მოითხოვდნენ, რომ ოკუპირებული ტერიტორიები ძალის გამოყენებით დაგვებრუნებინა, მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა.

- პროსახელისუფლებო ექსპერტი, ნინო ფოჩხუა, ირწმუნებოდა, რომ ტერიტორიული გაერთიანების ოცნება მალე შეიძლება რეალობად იქცეს, რამაც ოპოზიციას თავგზა აურია, რადგან „პატრონებისგან“ აქვთ დავალება მიღებული, რომ **საქართველო მუდმივ დაძაბულობასა და ქაოსში ამყოფონ.**
- სამთავრობო არხების მიერ გავრცელებული მორიგი განცხადების ავტორი ლევან ჭოტორლიშვილია, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოს ორი არჩევანი აქვს: ერთი, ოფიციალურად უარი თქვას შიდა ქართლსა და აფხაზეთზე და დარჩენილი ტერიტორიებით გააგრძელოს სვლა ევროპისკენ იმ იმედით, რომ ოდესმე მიგვიღებენ; ან მეორე - შევეცადოთ, გავითვალისწინოთ მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესები, უარი ვთქვათ მკვეთრ პროდასავლურ კურსზე და ავირჩიოთ პოლიტიკური ბალანსის პოლიტიკა აშშ-თან, ჩინეთთან, ირანთან და თურქეთთან,
- პრორუსულად განწყობილმა პროპაგანდისტმა ვალერი კვარაცხელიამ ივანიშვილის სიტყვით გამოსვლას სტატია მიუძღვნა, რომელშიც ირწმუნებოდა, რომ საბედნიეროდ, საქართველოს „დასავლეთის სპეცსამსახურის აგენტები“ აღარ მართავენ და ვერ განხორციელდა საქართველოს „უკრაინიზაციის“ გეგმა, რადგან ბიძინა ივანიშვილი კლდესავით აღიმართა მშვიდობის შესანარჩუნებლად. დასავლეთი ყველა საშუალებას მიმართავს, რათა ხელისუფლებაში თავისი „აგენტები“ დააბრუნოს, მათ შორის - სახელმწიფო გადატრიალების გზითაც. აღნიშნულ ფონზე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ რუსეთმა საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობები დაამყაროს. **საქართველოსა და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა,** რამაც ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანების გზაზე წამმზომი ჩართო.

„ქართული ოცნების“ გამოხმაურება აშშ-ის სენატში გამართულ მოსმენასთან დაკავშირებით ანტიდასავლურ, ანტიამერიკულ პროპაგანდას აძლიერებს

სექტემბერს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ დირექტორი ეკა გიგაური სიტყვით გამოვიდა აშშ-ის სენატში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მოსმენაზე, სადაც განიხილებოდა „არასამთავრობო ორგანიზაციების საწინააღმდეგო კანონები და დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების სხვა ინსტრუმენტები“, და ისაუბრა, თუ როგორ გადავიდა საქართველოს ხელისუფლება ღიად ანტიამერიკულ რელსებზე და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა დასავლეთთან სტრატეგიული პარტნიორობა.

სხდომაზე, სენატორმა ჯინ შაჰინმა, რომელიც 2024 წლის აგვისტოში საქართველოში გამართული ვიზიტის ფარგლებში, კონგრესმენ მაიკ ტერნერთან ერთად, პრემიერ-მინისტრ კობახიძეს ესტუმრა, განაცხადა, რომ კობახიძე მოითხოვდა, აშშ-მა შეწყვიტოს კრიტიკული არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება.

სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის გავლენიანმა წევრმა ჯეიმს რიშმა აღნიშნა, რომ ქართველ ხალხს „ოქტომბერში შესაძლებლობა ექნება, რომ თაღლითები მოაშორონ და საკუთარ ხელში აიღონ მომავალი.“

ბენ კარდინმა, სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, განაცხადა, რომ „უცხოური აგენტების“ კანონი საფრთხეს უქმნის დამოუკიდებელ ჟურნალისტებსა და

სამოქალაქო საზოგადოებას, რამაც, შესაძლოა, ქართველ ხალხს ევროკავშირში გაწევრიანება შეუჩეროს.

- პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის განცხადებით, აშშ-ის სენატის სხდომაზე კვლავ განმტკიცდა მმართველი პარტიის ოპონენტების მოღალატეობრივი ბუნება, რადგან **ასეთი აქტები არჩევნებზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად.** პრემიერ-მინისტრის შეფასებით, მოსმენაზე გაჟღერებული ტერმინები „ქართული ოცნების“ შესახებ კონგრესის უკულტურობაზე მეტყველებს. „რიშმა თქვა, რომ ამ არჩევნების შემდეგ ვიგინდარები გაიყრებიან პოლიტიკიდან - ჩვენი დაპირებაც ეს არის: უნდა აიკრძალოს ყველა ვიგინდარა ქართულ პოლიტიკაში,“ - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.
- მორიგ განცხადებაში, კობახიძემ განაცხადა, რომ **სენატორმა ჯინ შაჰინმა** ტყუილი თქვა, როდესაც ირწმუნებოდა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ აშშ-ს მოუწოდა, შეეწყვიტა კრიტიკული არასამთავრობოების დაფინანსება. პრემიერ-მინისტრის მტკიცებით, მან აშშ-ს მხოლოდ რადიკალიზაციისა და პოლარიზაციის დაფინანსების შეწყვეტა მოსთხოვა.
- კახა კალაძემ აღნიშნა: „ვინც ამ სიტყვებით მოიხსენიებს საქართველოს, ისინი არიან თაღლითები“ - და განმარტა, რომ **ამერიკელი იქნება, ევროპელი, რუსი, თუ ჩინელი, ყველა მტერია, ვინც საქართველოს შეურაცხყოფს.** მორიგ განცხადებაში, **თბილისის მერი ირწმუნებოდა, რომ დასავლელი პოლიტიკოსების განცხადებები საქართველოს დასჯის მცდელობაა,** რადგან ეს უკანასკნელი არ შეუერთდა სანქციებს და არ გახსნა „მეორე ფრონტი“ რუსეთის წინააღმდეგ.

- პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის მტკიცებით, საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ მოქმედი ეკა გიგაურის მოსმენის ნაცვლად, აშშ-ის სენატმა უნდა გამოიძიოს, რა როლი ჰქონდათ აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლებს 2020 წელს ISFED-ის პ
- „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ლევან მაჭავარიანმა განაცხადა, რომ ჯეიმს რიშმა ფელანაირი წითელი ხაზი გადაკვეთა და რადიკალური ძალები საქართველოს მტრები არიან. „ჩვენ მათ უსამშობლოებს ტყუილად არ ვეძახით. ისინი 100%-ით უცხოეთიდან მართებიან. მათ უნდა ისაუბრონ ის, რასაც დაავალებენ,“ - ირწმუნებოდა დეპუტატი.
- სამთავრობო ექსპერტმა რამაზ საყვარელიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ვარდების რევოლუცია“ აშშ-ის წარმატებული ექსპერიმენტი იყო, რომელიც შემდეგ უკრაინაშიც გაიმეორა. ახლა აშშ მორიგი „ფერადი რევოლუციის“ განხორციელებას ისახავს მიზნად, რადგან საქართველოს ხელისუფლებამ „მეორე ფრონტი“ არ გახსნა. თუ დასავლეთი არჩევნების შედეგებს არ აღიარებს, ქართველ ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებს და, „ქართული ოცნება“ ფიზიკურად განადგურდება, ხელისუფლებაში „ენმ-ის“ გუნდი მოვა
- ზაზა შათირიშვილი, ფილოსოფოსი, რომლის ანტიდასავლურ განცხადებებსაც ხშირად ზიარებენ სამთავრობო არხები, რობერტ კენედი უმცროსის ციტატა გაიმეორა და განაცხადა, რომ **უკრაინაში რუსეთის შეჭრა აშშ-მა დააპროვოცირა, რათა სამხედრო ინდუსტრიას ესარგებლა.** შათირიშვილის მტკიცებით, რობერტ კენედი უმცროსმაც აღნიშნა, რომ ომის დასრულების შემდეგ, „ბლექროკი“ გაუძღვება უკრაინის აღდგენას და მოიპოვებს უკრაინულ სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსებს, რაც უკრაინის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას ნულამდე დაიყვანს. შათირიშვილის განმარტებით, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, რობერტ კენედი ჯუნიორს არ უსაუბრია იმაზე, რომ **„ბლექროკის“**

შ
ე
დ
ე
გ
ე

მსგავსი კომპანიების უკან ოლიგარქიული ოჯახები დგანან, რომლებიც აშშ-ს, ევროკავშირს, საფრანგეთსა და გერმანიას მართავენ, ჩამოთვლილი ქვეყნების ოფიციალური ლიდერების ნაცვლად. იგივე ოლიგარქიული ოჯახები მართავდნენ საქართველოს 2004-2012 წლებშიც და გეგმავდნენ, რომ საქართველოც შეეწირათ, უკრაინის მსგავსად. „თუმცა, საბედნიეროდ, ქართველი ხალხი უკრაინელ ხალხზე გამოცდილი აღმოჩნდა, ხოლო საქართველოს ხელისუფლება უკრაინულზე სუვერენული, რის ხარჯზეც საქართველომ უკრაინული სცენარი, მეორე ფრონტი, ომი და ნგრევა წარმატებით აიცილა თავიდან," - განაცხადა ზაზა შათირიშვილმა.

- ვებგვერდზე „საქართველო უპირველეს ყოვლისა - კონსერვატიული პორტალი", რომელზეც ხშირად ვრცელდება ამერიკული მემარჯვენე წყაროებიდან გადმოტანილი განცხადებები და ისეთი პირების ციტატები, როგორებიც არიან რობერტ კენედი ჯუნიორი, ტაკერ კარლსონი და სხვ., გამოქვეყნდა პროსახელისუფლებო ექსპერტის, დავით ზარდიაშვილის, განცხადება. სტატიის თანახმად, დონალდ ტრამპი და ჯეი დი ვანსი აშშ-ის ეროვნულ ინტერესებს განასახიერებენ, ხოლო „დიპ სტეიტის" მარიონეტები - კამალა ჰარისი და ტიმ უოლცი - ანტიამერიკულ გლობალისტურ ინტერესებს. ამასთანავე, აშშ-ში სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე არსებობს და თუ საპრეზიდენტო არჩევნებში გლობალისტები გაიმარჯვებენ, „გლობალური ომის პარტიის" როლის თამაშს გააგრძელებენ მსოფლიოში.

„ქართული ოცნება" და რუსეთის საგარეო დაზვერვა არჩევნებში ჩარევის მცდელობებზე საუბრობენ

რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის ცნობის თანახმად, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, ეუთო/ოდირის საშუალებით, საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში ჩარევას აპირებს, რათა მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების", გამარჯვებას ხელი შეუშალოს, რადგან ეს უკანასკნელი ვაშინგტონისთვის მიუღებელია. საპარლამენტო არჩევნებამდე 10-20 დღით ადრე, ეუთო/ოდირი გამოაქვეყნებს შუალედურ ანგარიშს, რომელშიც განაცხადებს, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების წინაპირობები არაა შესრულებული. „ვაშინგტონის გეგმა ცხადია - მისცეს საბაბი პროდასავლურ ოპოზიციას მასობრივი საპროტესტო ტალღის გასაჩენად, რათა ხელისუფლება ძალის გამოყენებით ჩაიგდოს ხელში," - წერია განცხადებაში.

- პრემიერ-მინისტრის განცხადებით, რუსეთს არ აქვს რესურსი, რომ საქართველოში საარჩევნო პროცესებზე გავლენა მოახდინოს, თუმცა სხვა ძალები უპრეცედენტოდ ცდილობენ ჩარევას. სამწუხაროდ, საქართველოს ემუქრებიან, რადგან მან „მეორე ფრონტი" არ გახსნა. „კონკრეტულ ადამიანებს იმედი აქვთ, რომ ამ არჩევნების შემდეგ მაინც მოახერხებენ საკუთარი აგენტურის ხელისუფლებაში დაბრუნებას, რათა მეორე ფრონტი გახსნან," - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.
- შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ **რადიკალური ოპოზიცია არჩევნების შემდეგ დესტაბილიზაციას ელოდება** გასული საპარლამენტო არჩევნების მსგავსად. „იმედი მაქვს, რომ ამას საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები ყურადღებას მიაქცევენ," - განმარტა პარლამენტის თავმჯდომარემ. კითხვაზე, თუ რას ფიქრობს რუსეთის დაზვერვის განცხადების შესახებ, პაპუაშვილმა განაცხადა: „ჩვენთვის არანაირი ინტერესი, რას აცხადებს რუსეთის დაზვერვა, არ აქვს. ჩვენ ჩვენი დაზვერვაც გვაქვს და თავიც გვაბია

მხრებზე.“ პაპუაშვილის განმარტებით, კარგი და ცუდი ჩარევა არ არსებობს - **ნებისმიერი ქვეყნის ჩარევა ცუდია, იქნება ეს რუსეთი, დანია, აშშ, გერმანია, თუ საფრანგეთი.**

- საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, მამუკა მდინარაძის, მტკიცებით, გარედან ჩარევა რომ არ იყოს, „აგენტურული პარტიებიდან“ ვერცერთი შეძლებდა ბარიერის გადალახვას.
- „ქართული ოცნების“ დეპუტატი ირაკლი ზარქუა ირწმუნებოდა, რომ არაერთ უცხოურ ძალას სურს, საქართველოს ტერიტორია აკონტროლოს ქვეყნის გეოპოლიტიკური როლის გამო - აბრეშუმის გზისა და გაზსადენების დატვირთვიდან გამომდინარე. თუმცა **საქართველო „მეორე ფრონტს“ არ გახსნის და არ მიიღებს „ლგბტ პროპაგანდას.“**
- ედიშერ გვენეტაძე, ექსპერტი, რომელიც ხშირად სტუმრობს სამთავრობო ტელევიზია **და სადამკვირვებლო მისიებს ამზადებს, რათა არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადოს**, არეულობა გამოიწვიოს და სახელმწიფო გადატრიალება დაიწყოს, რაც ბოლოს საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნით დასრულდება.

მმართველი პარტია მიხაელ როთს ესხმის თავს და ჰომოფობიურ განწყობებს აღვივებს

სექტემბერს, გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მიხაელ როთი საქართველოს ესტუმრა. ვიზიტის ფარგლებში, მან შეხვედრები გამართა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, ლგბტქი+ უფლებათა დამცველებთან, ოპოზიციურ პარტიებთან და პრეზიდენტთან.

მმართველმა პარტიამ მიხაელ როთთან შეხვედრაზე უარი განაცხადა, მიზეზად კი პოლიტიკოსის მიერ მაისში გაკეთებული, მანიპულაციურად გავრცელებული განცხადება დაასახელა - ქართველი მაღალჩინოსნების მტკიცებით, როთმა ქართველი ხალხი და მართლმადიდებელი ეკლესია შეურაცხყო. *„ძვირფასო ამომრჩევლებო, გსურთ, რომ დაკარგოთ თქვენი შვილები, შვილიშვილები? იმიტომ, რომ სწორედ ახლა ქუჩაში დემონსტრაციას ახალგაზრდა თაობა მართავს და თუ ეს ახალგაზრდა თაობა დაკარგავს ნდობას საკუთარი ქვეყნის მიმართ, ისინი დატოვებენ ამ ქვეყანას. ჩვენ დიდად მივესალმებით მათ, ისინი არიან განათლებული, გამოცდილების მქონე, ნიჭიერი, ერთგული ევროპელები, თუმცა როგორ შეძლებთ თქვენ, შექმნათ ნათელი მომავალი საქართველოსთვის ახალგაზრდა თაობის გარეშე? მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიით, რომელიც მმართველი პარტიის ერთ-ერთი უახლოესი მოკავშირეა? კარგი, სცადეთ. ვფიქრობ, ტვინების გადინება იქნება სრული კატასტროფა თქვენი ქვეყნისთვის, ეს არის ჩემი გზავნილი და კითხვა ქუჩაში რიგითი ადამიანებისადმი,“* - განაცხადა მიხაელ როთმა მაისში. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად გადაღებულ ფოტოს როთმა მიაწერა: „ეს სამოქალაქო საზოგადოებაა, სულელო!“, რაც 1992 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ბილ კლინტონის მრჩევლის, ჯეიმს კარვილის, მიერ გამოგონილი ცნობილი ფრაზის შეცვლილი ვარიანტია: „ეს ეკონომიკაა, სულელო!“. თუმცა სამთავრობო ტელეკომპანია „იმედმა“ როთის პოსტი **ქართველი ხალხის** შეურაცხყოფად წარმოაჩინა, თითქოს გერმანელი პოლიტიკოსი საქართველოს მოსახლეობას გულისხმობდა ზემოაღნიშნული სურათის აღწერაში. გასულ დღეებში გამოქვეყნებულ პოსტში ტელეკომპანია „იმედი“ წერს: „გერმანელმა ლგბტქ+ დეპუტატმა ქართული ეკლესიის შეურაცხყოფისთვის ბოდიში არ მოიხადა.“ ამასთანავე, გერმანელი პოლიტიკოსის დისკრედიტაციის მიზნით, სატელევიზიო არხმა როთის არაოფიციალური, პირადი ფოტო გამოიყენა.

- პრემიერ-მინისტრის შეფასებით, როთი „აბსოლუტურად დისკრედიტირებულია“ ქართველი ხალხის თვალში, რადგან ის მაისში რევოლუციურ პროცესებში ჩართვას ცდილობდა.

- „ადამიანს, რომელიც შეურაცხყოფითა და სიცრუის გავრცელებით არის დაკავებული, რისთვის უნდა შევხვდეთ?“ - განაცხადა კახა კალაძემ და ირწმუნებოდა, რომ მიხაელ როთი შეურაცხმყოფელი განცხადებებით ქართველი ხალხის რწმენასა და ეკლესიას ესხმის თავს.

- მამუკა მდინარაძემ მიხაელ როთი ქართული ეკლესიის, ქართული სახელმწიფოს, საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის არჩევანის შეურაცხყოფაში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ გერმანელ პოლიტიკოსს „შესაბამისი პასუხი“ გაეცემა.

- „ქართული ოცნების“ დეპუტატის, ირაკლი ზარქუას, განცხადებით, მმართველ პარტიას მიხაელ როთთან საერთო არაფერი აქვს: „როთი მისი ღირებულებებით, ტრადიციებითა და ადათ-წესებით, ალბათ, გვარამიასთან, მელიასთან და „ჩახდილებთან“ ჩამოვიდა.“ ზარქუას თქმით, როთის მსგავს კაცებს ქართველ ხალხთან და ქართულ ტრადიციებთანაც არ აქვთ საერთო, „ასე რომ, ამათ ოფისებში იაროს და ერთმანეთთან გაერთონ.“

- მოძრაობა „ხალხის ძალისა“ და საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გურამ მაჭარაშვილმა განაცხადა, რომ როთი **„ოფიციალურად გათხოვილი კაცია, რომელიც ოპოზიციას უდგას სათავეში ლგბტ დროშით.“** დეპუტატის შეფასებით, რადიკალური ოპოზიცია საქართველოს „გაელგებეტებას“ უჭერს მხარს, ხოლო მმართველი პარტია ტრადიციებს ეროვნული დროშით იცავს.

- ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გასულ სეგმენტში, ჟურნალისტი ამბობდა, რომ როთის ვიზიტი ურეიტინგო რადიკალური ოპოზიციის მხარდაჭერა, ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების გაკრიტიკება და „ლგბტ პროპაგანდის“ წინააღმდეგ მიმართული კანონპროექტის დაგმობაა.

- აგრეთვე, ტელეკომპანია „იმედმა“ მოამზადა ჰომოფობიური რეპორტაჟი სათაურით „სახიფათო პროპაგანდის დამცველები“, რომელშიც ხაზგასმულია „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონის მნიშვნელობა. გადაცემის წამყვანი ირწმუნებოდა, რომ **კანონპროექტის განხილვას ოპოზიციური პარტიები არ ესწრებოდნენ, რადგან თუ მხარს დაუჭერდნენ კანონის მიღებას, მათი უცხოელი მფარველები გაბრაზდებოდნენ.** მეორე მხრივ, თუ ოპოზიცია ღიად დაგმობდა კანონპროექტს, ისედაც დაბალი მხარდაჭერის დაკარგვას გარისკავდნენ. წამყვანის თქმით, ოპოზიციას არა საკუთარი ამომრჩეველი, არამედ უცხოელი მფარველები და გარე ძალები აინტერესებს.

- სამთავრობო ექსპერტის, ედიშერ გვენეტაძის მტკიცებით, **როთი საქართველოში „გლობალური ომის პარტიამ“ გამოგზავნა,** რომელიც მსოფლიოს როგორც ტერიტორიულად, ისე - ეკონომიკურადაც აკონტროლებს და ახლა განიზრახა, რომ მორალურადაც გარყვნას ქვეყნები.

- სამთავრობო ექსპერტი, დავით ზარდიაშვილი ამბობდა, რომ საქართველოში მიხაელ როთის ვიზიტი ცალსახად რადიკალური ოპოზიციის არალეგალურ პოლიტიკურ მხარდაჭერას ადასტურებს და უნდა შეფასდეს, როგორც **არჩევნებში ჩარევის მორიგი მცდელობა.**

- სამთავრობო POSTV-ის გადაცემაში, ერთ-ერთი პოლიტიკური მიმომხილველი ირწმუნებოდა, რომ დასავლეთი საქართველოს სახელმწიფოდაც კი არ აღიქვამს და ისე ეპყრობა, როგორც დაბლა მდგომს. მიმომხილველის თქმით - „გათხოვილი კაცი“ საქართველოში ჩამოვიდა, მართლმადიდებელი ეკლესია შეურაცხყო და მაღალი რანგის პოლიტიკოსებთან შეხვედრა მოითხოვა.

პროკრემლისტური ჯგუფების მტკიცებით, ევროკავშირის მიზანი საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნა და „ლგბტ პროპაგანდის“ გავრცელებაა

- პრორუსულ „GeWorld-თან“ ინტერვიუში, მმართველ პარტიასთან აფილირებული მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, ნანა კაკაბაძე, ირწმუნებოდა, რომ მიუხედავად სააკაშვილის დანაშაულისა ქართველი ხალხის წინააღმდეგ, დასავლეთს არასოდეს გაუკრიტიკებია მისი ხელისუფლება. ამავდროულად, ივანიშვილი დასავლეთის მხრიდან მუქარისა და მუდმივი ზეწოლის სამიზნეა, რადგან **„ქართული ოცნება“ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს დასავლეთის ინტერესებზე მაღლა აყენებს, როდესაც სააკაშვილი ყველაფერს აკეთებდა, რასაც დაავალებდნენ.**
- ყოფილი დეპუტატი და „მემარცხენე ალიანსის“ გენერალური მდივანი იოსებ შატბერაშვილი ამბობდა, რომ თუ „ენმ“ მოვა ხელისუფლებაში, **ევროკავშირი საქართველოს 14 მილიარდ ევროს გადმოურიცხავს, რათა რუსეთის წინააღმდეგ ომი დაიწყოს** - როგორც უკრაინა დააფინანსა 200 მილიარდი ევროთი რუსეთის შეჭრის შემდეგ. მისი მტკიცებით, ევროკავშირის მიერ დაპირებული ფინანსური დახმარება არა საქართველოს განვითარებისთვის, არამედ „მეორე ფრონტის“ გახსნისთვისაა განკუთვნილი.
- „ალტ-ინფოს“ ეთერის ერთ-ერთმა წამყვანმა გიორგი ძველაიამ განაცხადა, რომ ევროკავშირთან ურთიერთობები საქართველოსთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მისაღები, თუ ეს უკანასკნელი ეკონომიკურ სარგებელს მიიღებდა ამ ურთიერთობით. თუმცა **დასავლეთს საქართველოს კოლონიად შენარჩუნება სურს**, რათა ქვეყნის ეკონომიკური რესურსებით ისარგებლოს, რაც საქართველოსთვის ეკონომიკურ პრობლემებს წარმოქმნის.
- ყოფილი დეპუტატი და პრორუსული გადაცემების ხშირი სტუმარი, ჯონდი ბაღათურია, ირწმუნებოდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები არასრულწლოვანთა დაცვას ლგბტ უფლებების დარღვევად აღიქვამენ, რაც ნათელს ხდის მათ მიზანს, იმოქმედონ საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ.
- პრორუსული ტელეკომპანია „სეზონის“ წამყვანის, ნიკოლოზ მჟავანაძის მტკიცებით, **თუ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება, მოუწევს „გეი გახდეს**, დასავლური ღირებულებების შესაბამისად.“ პროპაგანდისტის თქმით, ევროპაში „ლგბტ პროპაგანდისა და გარყვნილების“ მოწინააღმდეგეებს აკავებენ და საქართველოშიც იგივე მოხდება.
- „ალტ-ინფოს“ გადაცემის სტუმარმა მმართველი პარტია გააკრიტიკა სლოგანის „ღირსებით ევროპისკენ“ გამო. მისი შეფასებით, **ღირსება არ არის ევროპაში, რომელიც „მაიდანის რევოლუციის“ სცენარებს გეგმავს, სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას ცდილობს** და აფინანსებს არასამთავრობოებსა და „ლგბტ პროპაგანდას“ საქართველოში.

აშშ-ის სენატის სხდომასა და რუსეთის დაზვერვის განცხადებას პროკრემლისტური ჯგუფები აშშ-ის დასაკნინებლად იყენებენ

- მამუკა ფიფია, ქართული წარმომავლობის რუსი ბიზნესმენი და პრორუსული პარტიის „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ ლიდერი, რუსულ პროპაგანდისტულ წყაროსთან ინტერვიუში საუბრობდა რუსეთის სადაზვერვო სამსახურის განცხადებაზე, თუ როგორ ემზადება დასავლეთი საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებისთვის. ფიფიას განცხადებით, ბოლო 32 წელია, დასავლეთი საქართველოს ცუდად ექცევა, ატყუებს, რომ ევროკავშირისა და NATO-ს წევრ სახელმწიფოდ მიიღებს. ამასთანავე, მაისში სწორედ დასავლეთმა გაიყვანა ქართველი ახალგაზრდები და სკოლის მოსწავლეები ქუჩაში, რადგან მათი მიზანი სისხლისღვრა და არეულობის გამოწვევაა, როგორც „ევრომაიდანის“ დროს მოახერხეს. ფიფიამ მთავრობას სიფხიზლისკენ მოუწოდა.
- მიხეილ ჟღენტმა, პარტიის „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ თავმჯდომარემ, აგრეთვე ისაუბრა რუსეთის დაზვერვის ცნობაზე და ირწმუნებოდა, რომ **დასავლეთი აპირებს, საქართველო მიატოვოს, თუმცა ამას სისხლისღვრისა და ქვეყნის ცეცხლის ალში გახვევის გარეშე არ გააკეთებს.** მიხეილ ჟღენტის მტკიცებით, ვითარება გაცილებით უფრო დაძაბული იქნება და დასავლეთის გეგმა, სახელმწიფო გადატრიალება მოაწყოს, ოქტომბერში ცხადი გახდება. ამასთანავე, დასავლეთი საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებას გეგმავს, რათა არეულობამ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონშიც შეაღწიოს.
- „ალტ-ინფოს“ გადაცემის სტუმარი კონსპირირებდა, რომ თუ არჩევნებში „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, აშშ და „კოლექტიური დასავლეთი“ ხელისუფლების ჩამოგდებას შეეცდებიან.
- ნიკოლოზ მჟავანაძის თქმით, არასამთავრობოები ამერიკის აქტივები არიან, რომელთაც ისევ აშშ-ის ინტერესებისთვის იყენებენ, საქართველოს ინტერესების ხარჯზე. მისი მტკიცებით, აშშ-ის სენატორებისა და სხვა დასავლელი პოლიტიკოსების მხრიდან კრიტიკა და მუქარა უსაფუძვლო და უსამართლოა, ხოლო მათი მიზანი ქაოსის გაღვივება და ხელისუფლების ჩამოგდებაა.
- შოთა აფხაიძე (პირი, რომელიც უკრაინის ხელისუფლების მიერ სანქცირებულია და 2010 წელს სასჯელს იხდიდა ტელეკომპანია „კავკასიაში“ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისა“ და „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ წევრებთან ერთად შეჭრის ბრალდებით, ხოლო 2012 წელს პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლდა) 2017 წლიდან აქტიურად ჩანს პრორუსულ და კრემლისტურ, როგორც ქართულ, ისე - რუსულ მედიასაშუალებებში, აქტიურად ამტკიცებს, რომ დასავლეთი და ქართული ოპოზიციური პარტიები ქვეყანაში „მეორე ფრონტის“ გახსნას აპირებდნენ რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ. აფხაიძე ტელეკომპანია „სეზონის“ ეთერში ირწმუნებოდა, რომ აშშ-ის სენატორების განცხადებები სრულად საქართველოსთვისაა შეურაცხმყოფელი. **აშშ ცდილობს საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის ძირის გამოთხრასა** და „ენმ-ისა“ და სხვა ოპოზიციური პარტიების გაძლიერებას, რადგან ეს უკანასკნელნი ერთგულად ემსახურებიან ვაშინგტონს. ვინაიდან დასავლეთი არ აღიქვამს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და სურს, საკუთარი ინტერესების გასატარებლად გამოიყენოს, „ქართულ ოცნებას“ ერჩიან.
- იოსებ შატბერაშვილმა აშშ-ის სენატორების განცხადება საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ რევოლუციის მოწყობის მუქარად შეაფასა. **შატბერაშვილის მტკიცებით, თუ**

ამერიკელები წარუმატებელნი იქნებიან, საქართველო მორიგ ომში გაეხვევა და ტერიტორიებს დაკარგავს.

- ლევან მამფორია, „ალტ-ინფოს“ წევრი, აშშ-ის სენატის მოსმენაზე დაყრდნობით, ირწმუნებოდა, რომ აშშ საქართველოს დაპყრობას ცდილობს. ამასთანავე, მისი თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციები მოღალატეები არიან და მხოლოდ აშშ-ის დაფინანსების წყალობით არსებობენ.